



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
აკად. შოთა ძიძიგურის სახელობის ბასკოლოგიის ცენტრი



აკადემიკოს შოთა ძიძიგურის  
ხსოვნისადმი მიძღვნილი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

პროგრამა / თემისები

27 აპრილი  
თბილისი  
2026



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
აკად. შოთა ძიძიგურის სახელობის ბასკოლოგიის ცენტრი

**აკადემიკოს შოთა ძიძიგურის  
ხსოვნისადმი მიძღვნილი**

**სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია**

**პროგრამა/თეზისები**

27 აპრილი  
თბილისი  
2026

**კონფერენციის სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე  
ფილოლოგიის დოქტორი გიორგი შალამბერიძე  
ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი  
დოქტორანტი ირინა ნოზაძე

**რეგლამენტი:**

მოხსენება სხდომაზე – 15 წუთი  
დისკუსია – 5 წუთი

**სამუშაო ენა – ქართული**

11:00-11:20

**კონფერენციის გახსნა**

თსუ | კორპუსი, 202-ე აუდიტორია

**მისალმებები**

**პროფესორი დარეჯან თვალთვაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

**ფილოლოგიის დოქტორი გიორგი შალამბერიძე**

აკად. შოთა ძიძიგურის სახელობის ბასკოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

11:20-13:35

**I პლენარული სხდომა**

I კორპუსი, 202-ე აუდიტორია

სხდომის თავმჯდომარე: ფილოლოგიის დოქტორი  
**გიორგი შალამბერიძე**

11:20-11:35

**რევაზ ჩაჩავა**

**ბასკეთის ქალაქები და მათი განვითარების ძირითადი  
ასპექტები**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი **ნინო ჯობაძე**

11:35-11:50

**ნათია სიბაშვილი**

**მარიამ ჩიქოვანი**

**მარტოების კონცეპტი ბასკი მწერლების – ხოსება  
სარიონანდიასა და არანჩა იტურბეს ნოველებში**

ხელმძღვანელი: დოქტორი **ნინო ნოზაძე**

11:50-12:05

**ზინაიდა კურლინიან**

**მოსულები – მატრიარქალური საზოგადოების უნიკალური  
მოდელები თანამედროვე ჩინეთში**

*ხელმძღვანელი: ასოციებული პროფესორი ნანა გელაშვილი*

12:05-12:20

**მარიამ მეგრელი**

**შუა საუკუნეების ქართული ფრესკის ახლებური  
ინტერპრეტაცია მერაბ აბრამიშვილის შემოქმედებაში**

*ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა სხიხგაძე*

12:20-12:35

**ლიზი სამუშია**

**ანდერძი ძველ ქართულ სამართალში**

*ხელმძღვანელი: მოწვეული დოქტორი იჩაკე დეონიძე*

12:35-12:50

**ლამან ელჩიევა**

**საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები 1918-1920  
წლებში**

*ხელმძღვანელი: ასისტენტი-პროფესორი მიხეილ ქახიველიშვილი*

12:50-13:05

**გვანცა ტალახაძე, ქეთევან ჯუღელი**

**ეპიკური სიუჟეტის კომპოზიციური ორგანიზების  
ჰომეროსისეული პრინციპები და „ვეფხისტყაოსნის“  
სტრუქტურული სიმეტრია**

*ხელმძღვანელი: ასოციებული პროფესორი ზაზა ხინთიბიძე*

13:05-13:20

**ზაზა მახსოვეი**

**ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი  
ქართულ სამართალში**

*ხელმძღვანელი: მოწვეული დოქტორი იჩაკე დეონიძე*

13:20-13:35

**მარიამ ბიბლიაძე**

**ქონებრივი უფლებები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში და მისი გავლენა თანამედროვე ქართულ სამართალზე**

*ხელმძღვანელი: მოწვეული დოქტორი იხაკი დეონიძე*

**შესვენება**

13:35-13:50

13:50-16:20

**II პლენარული სხდომა**

I კორპუსი, 202-ე აუდიტორია

სხდომის თავმჯდომარე: დოქტორანტი

**იჩინა ნოზაძე**

13:50-14:05

**გუგა ვაშაყმაძე**

**კონტრასიგნაციის მექანიზმი და მისი განვითარების ისტორიული ეტაპები**

*ხელმძღვანელი: მოწვეული დოქტორი იხაკი დეონიძე*

14:05-14:20

**ხატია ტაბატაძე**

**მარიამ დელიბაშვილი**

**ხარი ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში**

*ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი მაჩიაშ ბაკუჩიძე*

14:20-14:35

**თათული სოფრომაძე**

**ბეიტალმანი ქონების მოწესრიგების ისტორია ქართულ სამართალში**

*ხელმძღვანელი: მოწვეული დოქტორი იხაკი დეონიძე*

14:35-14:50

**ნანა ბოგველი**

**ნინო დეკანოსიძე**

**„მთავარი“ და მისი ისტორიული კონტექსტი: ძალაუფლების პოლიტიკა და რეალიზმი**

*ხელმძღვანელი: დოქტორი იხაკვი ადიშაბაშვილი*

14:50-15:05

**მაჭარაშვილი ქეთევანი**

**ლოლაძე მარიამი**

**სიმარტოვის კონცეპტი ბერნარდო არაგას შემოქმედების მაგალითზე**

*ხელმძღვანელი: დოქტორი იხინა ნობაძე*

15:05-15:20

**ლიზი მექვაბიძე**

**ელენე მეტრეველი**

**ჰუარი ბუმედიენი: რესურსების კონტროლი და მესამე სამყაროს პოლიტიკური ძალა**

*ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი მიხეილ ქახთველიშვილი*

15:20-15:35

**რატი გობეჯიშვილი**

**დემეტრე ტეტელაშვილი**

**ქართული ონომასტიკის კულტურულ-ისტორიული ასპექტები აკადემიკოს შოთა ძიძიგურის ნაშრომების მიხედვით**

*ხელმძღვანელი: მოწვეული დოქტორი ნათია ზედგინიძე*

15:35-15:50

**ანა-მარია ჩუბინაშვილი**

**ნინო ნაჭყებია**

**ციფრული რესურსების ეფექტურობა და ხელმისაწვდომობის გამონვევები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში**

*ხელმძღვანელი: მოწვეული დოქტორი ეკატერინე ქუთათელაძე*

15:50-16:05

**გვანცა შერმაზანაშვილი**

**ჯონ სტაინბეკის „ტორტილა ფლეთი“ – ქართული თარგმანის  
ლინგვისტურ-სტილისტური თავისებურებანი**

*ხელმძღვანელი: დოქტორი იჩინა ნოზაძე*

16:05-16:20

**ნანიკო ტორონჯაძე**

**ანტონიო მაჩადოს ლექსის “La plaza tiene una torre”  
(„მოედანზე ციხე-კოშკი“) დავით წერედიანისა და ვასილ  
გულეურის ქართული თარგმანების შედარებითი ანალიზი**

*ხელმძღვანელი: განათლების მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან ხუსკივაძე*



# თ ე ზ ი ს ე ბ ი

---

## რევაზ ჩაჩავა

### ბასკეთის ქალაქები და მათი განვითარების ძირითადი ასპექტები

ბასკეთის ავტონომიური გაერთიანება, საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთი მონინავე რეგიონია ესპანეთში. ბასკეთის ქალაქების აღმავლობა 1860-1930 წლების პერიოდს ემთხვევა, როდესაც რეგიონის მასობრივი ინდუსტრიალიზაცია მიმდინარეობდა. ქალაქების სწრაფმა განვითარებამ მიგრაცია სამი მთავარი მიმართულებით განაპირობა. მოსახლეობა ბილბაოს, სან-სებასტიანისა და ვიტორიის გარშემო კონცენტრირდა.

ბილბაოს აგლომერაცია, რომელსაც დიდ ბილბაოს (ესპ., Gran Bilbao) უწოდებენ, მეექვსე ყველაზე მჭიდროდ დასახლებული არეალია ესპანეთში, სადაც ბისკაის მოსახლეობის დაახლოებით 80% ცხოვრობს. ტერიტორია მოიცავს ბისკაის 35 მუნიციპალიტეტს, ხოლო მისი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქებია ბილბაო, ბარაკალდო, გეჩო, პორტუგალეტე და სანტურცი. აგლომერაციის ცენტრს ქალაქი ბილბაო წარმოადგენს, რომელიც, ამავდროულად, ბასკეთის უდიდესი ქალაქიცაა. ქალაქში მრავლადაა სხვადასხვა არქიტექტურული სტილის ნიმუშები, რომელთა შორის გამოირჩევა წმინდა იაკობის ტაძარი, ბისკაის ხიდი, ბილბაოს მერიის შენობა, გუგენჰაიმის მუზეუმი და ა. შ. ბილბაოს აგლომერაცია ეკონომიკურად და ინდუსტრიულად ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ნაწილია ესპანეთში. გრან ბილბაოში დაახლოებით ერთი მილიონი კაცი ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ 1989 წლიდან ბილბაო თბილისთან დაძმობილებული ქალაქია. გრან ბილბაოში 1995 წლიდან ფუნქციონირებს მეტროპოლიტენი, რომელიც სამიჯ ხაზისგან შედგება, რომელთა საერთო სიგრძე 49,16 კილომეტრია და აგლომერაციაში შემავალ ქალაქებს ერთმანეთთან აკავშირებს.

სან-სებასტიანის აგლომერაცია გიპუსკოას პროვინციაში მდებარეობს და მისი საზღვრები საფრანგეთამდე ვრცელდება. მისი მოსახლეობა 454 669 ადამიანია, ხოლო ფართობი 409.6 კმ<sup>2</sup>. ის ესპანეთის მე-16-ე ყველაზე მჭიდროდ დასახლებული აგლომერაციაა. მისი ცენტრი ქალაქი სან-სებასტიანია, რომელიც განთქმულია თავისი

გასტრონომიით, პლაჟებითა და არქიტექტურული ძეგლებით, რომელთა შორის გამოირჩევა კეთილი/სათონ მწყემსის კათედრალი (ესპ. *La Catedral del Buen Pastor*), მირამარის სასახლე, სტადიონი ანოეტა და ა. შ.

ბასკეთის გამორჩეულ ქალაქს წარმოადგენს ვიტორია-გასტეისი, რომელიც ავტონომიური გაერთიანების დედაქალაქიცაა. იგი სიდიდით მეორე ქალაქია ბასკეთში, ბილბაოს შემდეგ. მისი მოსახლეობა 260 699 ადამიანს შეადგენს. ქალაქი ისტორიულად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, როგორც სამხედრო, ისე კომერციული და კულტურული თვალსაზრისით. ქალაქში მრავლად ვხვდებით ძველი და ახალი არქიტექტურული სტილის ნიმუშებს, როგორებიცაა: წმინდა მარიამის კათედრალი (ესპ. *La Catedral de Santa María*), ესპანეთის მოედანი, ალავას არქეოლოგიური მუზეუმი და ა. შ.

მოსხენებაში განხილული იქნება ბასკეთის სამივე პროვინციის დედაქალაქი, მათ გარშემო მდებარე დასახლებები და ძირითადი ღირსშესანიშნაობები. გამოკვეთილი იქნება ავტონომიური გაერთიანების ქალაქების დანიშნულების მიზეზები და აგლომერაციების ჩამოყალიბების პროცესი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ბასკეთის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

## **ნათია სიბაშვილი მარიამ ჩიქოვანი**

### **მარტოობის კონცეპტი ბასკი მწერლების – ხოსება სარიონანდიასა და არანჩა იტურბეს ნოველებში**

მე-20 საუკუნე იყო მოდერნიზმის პერიოდი, როდესაც მოხდა ადამიანის კონცეფციის გადაფასება, არაცნობიერის რაციონალიზაცია, სამყაროს აღქმა ისეთ მოცემულობად, სადაც მრავლად არსებობდა გადაუჭრელ, ვერდაძლეულ წინააღმდეგობათა უსასრულობა. ამ ყოველივემ კი დიდი როლი ითამაშა ლიტერატურის ფორმირებაზეც. სწორედ ამიტომ, მოდერნისტულ მწერლობაში პერსონაჟი აღარ აღიქმებოდა ყოფიერების აქსიოლოგიურ და კოგნიტურ ცენტრად; პირიქით, ადამიანზე მუდმივად ზემოქმედებდა გარემო, პერსონაჟი კი

მხოლოდ პოსტფაქტუმ რეაგირებდა ყოფიერებაში მიმდინარე სტიქიურ პროცესებზე. შესაბამისად, ადამიანი, როგორც სამყაროსთვის საზრისის მიმნიჭებელი სიდიადე, გაქრა/გაუქმდა. აგრეთვე, მოდერნისტულ ლიტერატურაში პერსონაჟები იქცნენ გაუცხოებულ, დისოცირებულ პირებად, რომელთათვისაც სამყარო და ხალხი უცხო იყო.

საკონფერენციო ნაშრომში განვიხილავთ ხოსება სარიონანდია-სა და არანჩა იტურბეს ნოველებს („ეული“ და „წითელი თავშალი“), რადგან მათში ყველაზე ნათლად იკვეთება მოდერნისტული, დისოცირებული პერსონაჟების სახეები და მათი გაუცხოება სამყაროსადმი, რაც დამახასიათებელი იყო მე-20 საუკუნის მწერლობისთვის. აგრეთვე, შევეცდებით პარალელების გავლებას ფრანც კაფკასა და ალბერ კამიუს ნაწარმოებებთან („მეტამორფოზა“ და „უცხო“), რადგან მიგვაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებებს აერთიანებთ მარტოობის, გარიყულობისა და გაუცხოების თემატიკა.

მოხსენებაში ასევე ვისაუბრებთ მწერალთა წერის სტილზე, მხატვრულ ხერხებზე, მსგავსება-განსხვავებებზე და როგორც გოდერძი ჩოხელი იტყოდა, ადამიანად ყოფნის (ან არყოფნის) ტკბილ სევდაზე.

ნოველაში „ეული“ განსაკუთრებით თვალსაჩინოა მარტოობის თემა. აქ მარტოობა არ არის მხოლოდ სხვების არყოფნა, არამედ ეს არის მდგომარეობა, როცა ადამიანი საკუთარ თავთან პირისპირ რჩება, იგი მოწყვეტილია გარემოს, ვერ პოულობს საერთო ენას საზოგადოებასთან, განიცდის გარიყულობას, შინაგან სიცარიელეს და ცდილობს საკუთარი ადგილის პოვნას სამყაროში.

ნოველაში „წითელი თავშალი“ თხრობა მეტად ლირიკული და სიმბოლურია, აქ ემოციები საგნებითა და მოგონებებით არის გადმოცემული. წითელი თავშალი აქ სიყვარულისა და დაკარგული დროის სიმბოლოდ გვევლინება. ნოველაში პერსონაჟის განცდები დაკავშირებულია წარსულის ნოსტალგიასთან, რაც აძლიერებს ემოციურ ფონს და ტექსტს განსაკუთრებულ ემოციურობას სძენს.

## ზინაიდა კურლინიანი

### მოსუობი – მატრიარქალური საზოგადოების უნიკალური მოდელი თანამედროვე ჩინეთში

წარმოდგენილ მოხსენებაში განხილულია მოსუო ხალხის კულტურა, მათი უნიკალური სოციალური სისტემა, სულიერი რწმენა-წარმოდგენები და ლუგუს ტბასთან დაკავშირებული მითი და სხვა საკითხები, რომლებიც ტრადიციული ცხოვრების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენენ თანამედროვე ჩინეთის მრავალფეროვან კულტურულ სივრცეში.

მოსუობი, რომლებსაც ხშირად „ჩინეთის ბოლო მატრიარქალურ საზოგადოებას“ უწოდებენ, უნიკალური ეთნიკური ჯგუფია, რომელიც იუნანისა და სიჩუანის პროვინციებში, ლუგუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ისინი საუბრობენ საკუთარ ენაზე – ნაან ნარუაზე და გამოირჩევიან კულტურული თვითმყოფადობით, რომელიც განსაკუთრებულად მუდავნდება მათ ოჯახურ და სულიერ ცხოვრებაში. მოსუობის საზოგადოება მატრიარქალურ პრინციპებზეა დაფუძნებული: ქონება დედის ხაზით გადადის, ხოლო ოჯახის ხელმძღვანელი ყოველთვის ქალი – დედა ან ბებია არის. მათი ყველაზე გამორჩეული ტრადიციაა ე.წ. „მოსიარულე ქორწინება“, როცა მამაკაცი ქალს მხოლოდ ღამით სტუმრობს და დილით საკუთარ ოჯახში ბრუნდება. ბავშვები დედის ოჯახში იზრდებიან, მამის ვინაობა კი უმეტესად უცნობია, რაც ქალის ავტორიტეტს კიდევ უფრო აძლიერებს.

მოსუობის სულიერ სამყაროში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბუნების კულტს. მათი რწმენა ანიმისტურ ელემენტებს აერთიანებს ტიბეტურ ბუდიზმთან, რაც საზეიმო რიტუალებში, მსხვერპლმწირვასა და ფესტივალებში ვლინდება. განსაკუთრებით გამორჩეულია ლუგუს ტბა, რომელსაც „ქალების ტბას“ ან „ქალების სამოთხეს“ უწოდებენ. ტბა ზღვის დონიდან 2,685 მეტრზე მდებარეობს და თავისი სისუფთავითა და სიმშვიდითაა ცნობილი. ადგილობრივთა წარმოდგენით, ტბა შეიქმნა გემუ ქალღმერთის ცრემლებიდან, რაც სიყვარულისა და სიწმინდის სიმბოლოდ ითვლება.

მიუხედავად გლობალიზაციისა და თანამედროვე ცვლილებებისა, მოსუობი დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ ტრადიციებს. მათი

კულტურა არა მხოლოდ ეთნოგრაფიული საუნჯეა, არამედ ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული თანაცხოვრების იშვიათი ნიმუში, რომელმაც ლუგუს ტბა მსოფლიო კულტურულ რუკაზე გამორჩეულ სიმბოლოდ აქცია.

## **მარიამ მეგრელი**

### **შუა საუკუნეების ქართული ფრესკის ახლებური ინტერპრეტაცია მერაბ აბრამიშვილის შემოქმედებაში**

1970-80-იან წლებში ქართულ კულტურულ სივრცეში თანდათან იჭრება დასავლეთის პოსტმოდერნისტული ტენდენციები, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლისა და ე.წ. „რკინის ფარდის“ ახსნის შემდეგ აღნიშნული გავლენები კიდევ უფრო ძლიერდება. ასპარეზზე გამოდის ახალგაზრდა ხელოვანთა პლეადა, რომელიც აქტიურად შეუდგა თანამედროვე დასავლეთის მხატვრული ენის ათვისებას, მისი გადააზრების შედეგად კი იწყებს ახლებური, ეკლექტიზმით გაჯერებული ვიზუალური სახეების შექმნას. „ოთხმოციანელების“ სახელით ცნობილი ეს ახალგაზრდა თაობა განსაკუთრებით დაინტერესდა წარსული თემებით, მათ შორის, რელიგიით, რომელიც აქამდე აკრძალული ჰქონდა ათეისტურ რეჟიმს. ქრისტიანული მოტივები მრავლად გვხვდება აღნიშნული პერიოდის მხატვრებთან. ამ მხრივ, გამონაკლისს არც მერაბ აბრამიშვილი (1957-2006) წარმოადგენს, რომელიც, გადაჭარბების გარეშე, არის ქართული პოსტმოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა. აბრამიშვილის ხელწერა თუ ნარატივი იმდენად ინდივიდუალური და ორიგინალურია, რომ რთულია სხვა რომელიმე მხატვარში აგერიოს.

წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავ მერაბ აბრამიშვილის შემოქმედებას ქრისტიანულ ხელოვნებასთან მიმართებით, თუ რატრანსფორმაციას განიცდის ტრადიციული ქრისტიანული მოტივები თანამედროვე მხატვრის ნამუშევრებში. ამასთან, მოკლედ გავაანალიზებ ქართული დაზგური ფერწერის საკითხს კულტურულ ჭრილში და მის „გენეტიკურ“ კავშირს შუა საუკუნეების ფრესკასთან. აგრეთვე, შედარებითი ანალიზის გზით გამოვკვთავთ ატენის სიონის მოხატულობის როლს აბრამიშვილის სტილისა და ტექნიკის ფორმირებაში.

## ლიზი სამუშია

### ანდერძი ძველ ქართულ სამართალში

მემკვიდრეობის უფლება არის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, რომელიც ადამიანს გააჩნია ჩასახვისთანავე. სწორედ ამიტომაც, ამ უფლებამ კონსტიტუციაშიც პოვა ადგილი; კერძოდ, იგი განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-19 მუხლში. თუმცა, სანამ სამემკვიდრეო სამართალი ამ ეტაპამდე მოვიდოდა, უდიდესი განვითარების გზა განვლო. საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა მემკვიდრეობის ორი ფორმა – ანდერძით მემკვიდრეობა და კანონისმიერი მემკვიდრეობა. ჩემს ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნება ანდერძზე, როგორც მესაკუთრის ნების უზენაესობის დაცვის გარანტიაზე.

იგი უდიდეს როლს თამაშობდა და ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქონების განაწილებასა და ცხოვრების პირობების განვითარებაზე უძველესი დროიდან. ის წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც ასახავდა როგორც სამართლებრივ, ისე რელიგიურ და ზნეობრივ პრინციპებს. ანდერძი აერთიანებდა სამართლებრივ ნორმებს, რელიგიურ შეხედულებებსა და ტრადიციულ პრაქტიკას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ანდერძით მემკვიდრეობის, ისტორიულად მდგრადი მოდელი.

ანდერძი, როგორც მესაკუთრის ნების გამოვლენის თავისუფალი ფორმა, საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს ქონება გარდაცვალების შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ანდერძი უნიკალური საშუალებაა, რომელიც აქტუალობას არასოდეს კარგავს. საქართველოში, ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად, ანდერძი ფეოდალურ საქართველოში არსებობდა; კერძოდ, 1123 წლის „ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო მღვიმისადმი“ და 1125 წლის „ანდერძი დავით აღმაშენებლისა“. ასევე, ანდერძის განმარტებას ვხვდებით ბექადაღბულას სამართალსა და ვახტანგ VI-ის სამართალში. აღსანიშნავია, რომ ანდერძით მემკვიდრეობა მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც გაჩნდა კერძო საკუთრების ცნება და მესაკუთრეს მიეცა შესაძლებლობა, თავისი შეხედულებისამებრ განეკარგა ქონება. ანდერძით მემკვიდრეობა პირდაპირ უკავშირდებოდა სოციალურ ფენას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებითი სამართალი ქონების ავტომატურ გადაცემას უზრუნველყოფდა, ანდერძს მიმართავდნენ მაშინ, როცა სურდათ მემკვიდრეობის ტრადიციული წესის შეცვლა ან სულის საოხად ქონების გაღება. იგი უდიდეს როლს ასრულებდა და

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქონების განაწილებასა და ცხოვრების პირობების განვითარებაზე უძველესი დროიდან. ის წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც ასახავდა როგორც სამართლებრივ, ისე რელიგიურ და ზნეობრივ პრინციპებს. ანდერძი აერთიანებდა სამართლებრივ ნორმებს, რელიგიურ შეხედულებებსა და ტრადიციულ პრაქტიკას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ანდერძით შემკვიდრეობის ისტორიულად მდგრადი მოდელი.

ფორმალური თვალსაზრისით, ანდერძი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ზეპირი ფორმით, ასევე წერილობითი ფორმით. დღესდღეობით ეს მიდგომა შეიცვალა. ჩემს ნაშრომში განხილული იქნება, როგორ ჩამოყალიბდა და რა გზა განვლო ანდერძით შემკვიდრეობამ – სულიერი დარიგებიდან მკაცრად რეგულირებულ იურიდიულ აქტამდე; რა მნიშვნელობას ატარებდა იგი ადრინდელ საქართველოში და რა ცვლილებები განიცადა თანამედროვეობაში.

## **ლამან ელჩიევა**

### **საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები 1918-1920 წლებში**

1918-1920 წლები კავკასიის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პერიოდია. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ რეგიონში ჩამოყალიბდა ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო და აზერბაიჯანი. ორივე რესპუბლიკა ცდილობდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შექმნასა და საერთაშორისო აღიარების მოპოვებას, თუმცა მათ შორის ურთიერთობები თავიდანვე რთული აღმოჩნდა. გეოპოლიტიკური გარემო, საზღვრის გაურკვეველი საკითხები და გარე ძალების – ოსმალეთისა და საბჭოთა რუსეთის – ზეწოლა ქმნიდა პირობებს, სადაც თანამშრომლობა და დაპირისპირება ერთმანეთთან თანაარსებობდა. სწორედ ამ ფონზე საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები 1918–1920 წლებში იქცა ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკები დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აღმოჩნდნენ ოსმალეთისა და საბჭო-

თა რუსეთის ზენოლის ქვეშ. ამ ფონზე მათ შორის წარმოიშვა დაპირისპირება ზაქათალის ოლქის, ბორჩალოსა და ყარაიაზის რაიონების კუთვნილებაზე. მიუხედავად პერიოდული სამხედრო შეტაკებებისა, ორივე მხარე ცდილობდა დიპლომატიური გზით შეთანხმებას, რაც ხშირად უშედეგოდ სრულდებოდა.

1919 წელს შეიქმნა მცდელობა კავკასიური სახელმწიფოების ერთიან თავდაცვით ბლოკში გაერთიანებისა. საქართველო და აზერბაიჯანი, სომხეთთან ერთად, ცდილობდნენ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნას, რათა შეეჩერებინათ საბჭოთა რუსეთის ექსპანსია და ოსმალეთის გავლენა. თუმცა ეს ინიციატივა ვერ გახდა საკმარისი რეგიონული სტაბილურობისთვის.

ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბაქოს ნავთობსა და საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას. მიუხედავად პოლიტიკური დაძაბულობისა, არსებობდა სავაჭრო ურთიერთობები, რაც ორივე ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

1920 წლისთვის საბჭოთა რუსეთის წნეხი გაძლიერდა: აპრილში ოკუპირებულ იქნა აზერბაიჯანი, ხოლო 1921 წლის მარტში – საქართველო. ამით დასრულდა მათი დამოუკიდებლობის პირველი ეტაპი.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები 1918-1920 წლებში ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ცდილობდნენ მცირე სახელმწიფოები ერთიანობით გადარჩენას რთულ საერთაშორისო გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა თანამშრომლობის მცდელობები – სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმებები და ეკონომიკური ურთიერთობები – მუდმივი საზღვრის კონფლიქტები და გარე ძალების ზეწოლა საბოლოოდ მათ დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნიდა. 1920 წლისთვის საბჭოთა რუსეთის ექსპანსიამ აზერბაიჯანი, ხოლო 1921 წელს საქართველო ოკუპირა, რითაც დასრულდა მათი დამოუკიდებლობის პირველი ეტაპი. ამ გამოცდილებამ ცხადყო, რომ რეგიონული ერთიანობა და თანამშრომლობა იყო გადარჩენის აუცილებელი პირობა, თუმცა რეალობა ხშირად მათ წინააღმდეგ მოქმედებდა.

## გვანცა ტალახაძე ქეთევან ჯღელი

### ეპიკური სიუჟეტის კომპოზიციური ორგანიზების ჰომეროსისეული პრინციპები და „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურული სიმეტრია

სტრუქტურული სიმეტრია ჰომეროსის პოემების – „ილიადის“ და „ოდისეის“ – სიუჟეტების კომპოზიციური ორგანიზების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მისი ორი უმთავრესი ფორმაა: პარალელიზმი (აბგ || ა'ბ'გ') და სიმეტრია (აბგ || გ'ბ'ა'). აღნიშნულ სქემებში ასოებით აღნიშნულია ეპიკური ტექსტის მეტ-ნაკლებად დიდი სიგრძის მქონე, შინაარსობრივად თვითდასრულებული მონაკვეთების – ანუ სტრუქტურების – შემადგენელი ნაწილები, ელემენტები.

დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე პოპულარული „ზეპირი პოეზიის“ თეორიის თანახმად, სტრუქტურული სიმეტრია ახასიათებს ზეპირი გზით შექმნილ ეპიკურ ნაწარმოებებს და, ამდენად, მისი არსებობა ჰომეროსის პოემების ზეპირ წარმომავლობას ადასტურებს. განსხვავებული ჰომეროლოგიური მიმართულების – უნიტარიზმის – წარმომადგენლები კი მიიჩნევენ, რომ თავისთავად ზეპირი წარმომავლობის მქონე სტრუქტურული სიმეტრიის პრინციპები ჰომეროსმა, მიუხედავად იმისა, მხოლოდ ზეპირად ქმნიდა თავის ნაწარმოებებს თუ წერილობითი გზითაც, გამოიყენა ეპიკური სიუჟეტის კომპოზიციური ორგანიზების მიზნით და არა მხოლოდ ტრადიციული, ტექნიკური ფუნქციით, რაც მონუმენტური პოემების ზეპირი გზით შექმნის პროცესის გაადვილებას გულისხმობდა.

სტრუქტურული სიმეტრიის ჰომეროსისეული პრინციპები მეტ-ნაკლებად სახეცვლილი ფორმით გადავიდა შუა საუკუნეების ევროპულ ეპიკურ ტრადიციაში. კერძოდ, როგორც დასავლეთევროპულ საგმირო ეპოსში – „ნიბელუნგების სიმღერაში“, ისე ბიზანტიურ სარაინდო რომანებში. რაკი რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ სპარსულ-აღმოსავლური, არამედ ევროპულ-დასავლური ლიტერატურული პროცესის შემადგენელი ნაწილიც იყო, ხოლო რუსთველის-დროინდელ საქართველოს უმჭიდროესი კულტურული კავშირები ჰქონდა ბიზანტიასთან, ევროპული ეპიკური ტრადიციისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი სიუჟეტის კომპოზიციური ორგანიზების პრინციპები – სიმეტრია და პარალელიზმი – სავსებით მოსალოდნელია, ამა თუ იმ ფორმით ასახული ყოფილიყო „ვეფხისტყაოსანშიც“.

აღნიშნული საკითხი მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი ჩვენი თემის ხელმძღვანელის, ზაზა ხინთიბიძის, წიგნში – „ჰომეროსი და რუსთველი“, რის შედეგადაც „ვეფხისტყაოსანში“, როგორც მიკროსტრუქტურულ, ისე მაკროსტრუქტურულ დონეზე, სტრუქტურული სიმეტრიის მრავალი შემთხვევა გამოვლინდა, რაც მნიშვნელოვანია როგორც ჰომეროლოგიური, ისე რუსთველოლოგიური სამეცნიერო პრობლემატიკის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის ახლებურად გასააზრებლად. კერძოდ, ის ფაქტობრივი მოცემულობა, რომ იმგვარ უდავოდ წერილობითი გზით შექმნილ ეპიკურ ნაწარმოებში, როგორც „ვეფხისტყაოსანია“, ჰომეროსის ეპოსისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული სიმეტრიის მსგავსი მრავალრიცხოვანი შემთხვევები დასტურდება, საფუძვლიანი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს „ზეპირი პოეზიის“ თეორიის მომხრეების თვალსაზრისს, რომ ანალოგიური მახასიათებელი ჰომეროსის ეპოსის უცილობლად და მხოლოდ ზეპირი გზით შექმნილობის წარმომჩენია. იმავდროულად, ჰომეროლოგიური პრობლემატიკის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა ახლებურად გაანალიზებულიყო „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტოლოგიური პრობლემა – პოემის დასასრულის, ანუ ინდო-ბატაქლთა ამბის, ავთენტურობა-გვიანდელობის საკითხი.

## **ზაზა მახსოვი**

### **ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობა ქართულ სამართალში**

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სამართლებრივ მოდელს ქართულ სამართალში და აფასებს მის შესაბამისობას კონსტიტუციურ პრინციპებთან. კვლევის ძირითადი აქცენტი მიმართულია იმ ფუნდამენტურ სამართლებრივ დილემაზე, რომელიც წარმოიშობა ნოტარიუსის ორგვარი ბუნებიდან: ერთი მხრივ, იგი ახორციელებს სახელმწიფოს მიერ დელეგირებულ საჯარო უფლებამოსილებას, ხოლო, მეორე მხრივ, მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი.

აღნიშნული ნაშრომი ეყრდნობა როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, ასევე საქართველოს კანონს „ნოტარიატის შესა-

ხებ“, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2026 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებას (№ 2/1/1494).

აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებაში კრიტიკულად არის გაანალიზებული დავის საგანი, კერძოდ, მოსარჩელის პოზიცია, რომლის მიხედვითაც ნოტარიუსის მიერ საჯარო ფუნქციების შესრულება მას ფუნქციურ ადმინისტრაციულ ორგანოდ აქცევს. შესაბამისად, ისმის შეკითხვა: – რამდენად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტს, რომელიც საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ადგენს.

პარალელურად, ნაშრომში წარმოდგენილი იქნება მოპასუხე მხარის პოზიციაც, რომელიც ნოტარიუსის ინსტიტუტს განიხილავს კერძო სამართლის ქრილში. აღნიშნული ხედვით, ნოტარიუსის საქმიანობის დამოუკიდებლობა, თვითდაფინანსება და პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხავს მის გაიგივებას საჯარო მოხელესთან და, შესაბამისად, ხსნის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი სახელით მოქმედი ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისათვის.

ნაშრომი მიზნად ისახავს, შეაფასოს მხარეთა არგუმენტაცია ქართული კანონმდებლობის საფუძველზე, მკაფიოდ განსაზღვროს ნოტარიუსის სტატუსი, განიხილოს შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თუ როგორ წესრიგდება აღნიშნული საკითხი გერმანულ ან ფრანგულ სამართლის სისტემებში და პასუხი გასცეს კითხვას: რამდენად პროპორციულად არის დაცული დაზარალებულის ინტერესები იმ პირობებში, როდესაც კანონმდებლობა ნოტარიუსის მიერ მიყენებულ ზიანზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას სრულად გამორიცხავს?!

## **მარიამ ბიბილაძე**

### **ქონებრივი უფლებები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში და მისი გავლენა თანამედროვე ქართულ სამართალზე**

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული და სამართლებრივი ძეგლია, რომელშიც გაერთიანებულია როგორც ქართული, ისე ებრაული და სომხური სამართლის საკანონმდებლო ნაშრომები, ასევე იმდროინდელ საქართვე-

ლოში დამკვიდრებული ჩვეულებები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ, სახელმძღვანელო ნაწილს ამ კრებულში თავად ვახტანგ მეექვსის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ნორმები წარმოადგენს. თავის მხრივ, ამ ნაწილში ინტეგრირებულია როგორც სისხლის სამართლის დანაშაულები, ისე ქონებრივი უფლებები, საოჯახო-მემკვიდრეობითი სამართლის მარეგულირებელი ნორმები და სხვ.

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა XVII-XVIII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნმა დიდი როლი შეასრულა სოციალური წესრიგის დამკვიდრებაში, ძველი ქართული სამართლის სისტემატიზაციასა და ერთიანი სამართლის შემოღებაში. აღნიშნული ნაშრომი დიდხანს გამოიყენებოდა ქართულ კანონმდებლობაში როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. იგი დღემდე მიჩნეულია ერთ-ერთ უპირველეს მულტიკულტურულ, იმ დროისათვის ინოვაციურ საკანონმდებლო კოდიფიკაციად, რომლის ელემენტებს დღესაც მოიცავს თანამედროვე ქართული სამართალი.

აღნიშნულ კოდიფიკაციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქონებრივი უფლებების ინსტიტუტს, საკუთრების უფლებასა და მისი დაცვის გარანტიებს ძველქართულ სამართალში, რომელიც ფეოდალურ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრებისაკენ იყო მიმართული. აღნიშნული შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სისხლისსამართლებრივ ქრილში, მაგალითად, ქურდობასთან ან ე. წ. „მორბევასთან“ მიმართებით, რომელიც აწესებს კონკრეტული ტიპის სანქციებს ქონებრივი უფლებების დარღვევის გამო, ისე საოჯახო-მემკვიდრეობითი სამართლის კუთხით, რომელიც ეხება ცოლ-ქმრის ქონებრივ უფლებებს, ანდერძისა თუ კანონისმიერი მემკვიდრეობის შედეგად სამკვიდრო ქონებაზე წარმოშობილ უფლებებსა და მოვალეობებს.

ქონებრივ უფლებებზე მსჯელობისას შეგვიძლია ვისაუბროთ ნასყიდობის, ქირავნობისა და მიბარების სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც სწორედ ვახტანგ მეექვსის წიგნშია მოცემული და დღემდე სახელშეკრულებო-სამართლებრივ ურთიერთობებში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტებს წარმოადგენს.

XVIII საუკუნის სამართლებრივი სისტემისთვის უჩვეულო, თუმცა ამავედროულად განსაკუთრებულია საკუთრების უფლების, ზიანის ანაზღაურების ე. წ. „მისაცემელის“ ინსტიტუტის არსებობა, სამეზობლო სამართლის მოწესრიგება, რაც ეხება სარწყავი არხების, საზ-

ღვრების დადგენას ან ნაყოფით სარგებლობის წესებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ კანონმდებლობის მაღალ დონეს.

პარალელის სახით შეგვიძლია ვიმსჯელოთ თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებზე, რაც მოიცავს, თუნდაც, განკარგვისა და საკუთრების უფლებებს, დელიქტურ პასუხისმგებლობას, ზიანის ანაზღაურებასა და სამეზობლო ურთიერთობებს.

ფორმალური თვალსაზრისით აღნიშნული უფლებები უმაღლეს დონეზეა მოწესრიგებული დასტურლამალში, თუმცა ის ასოცირებულია ფენობრივ განსხვავებასთან და ფეოდალურ წყობილებასთან, რაც, ცხადია, დღევანდელ თანამედროვე სამართლის სისტემაში არ გვხვდება; პირიქით, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა თანასწორუფლებიანობის უმაღლეს საფეხურთანაა დაკავშირებული.

## **გუგა ვაშაყმაძე**

### **კონტრასიგნაციის მექანიზმი და მისი განვითარების ისტორიული ეტაპები**

საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლი ითვალისწინებს კონტრასიგნაციის, იგივე თანახელმონერის მექანიზმს, რომელიც გულისხმობს პრემიერ-მინისტრის თანახელმონერას საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებზე. წარმოდგენილი კონფერენციის მთავარი მიზანია თანახელმონერის მექანიზმის წარმოშობისა და საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივ ცხოვრებაში მისი იმპლემენტაციის სათავეთა დადგენა. კონტრასიგნაციის მექანიზმი მკაფიო გამოძახილია დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მოწყობისა, რამეთუ იგი წარმოადგენს ერთგვარ პრევენციის საშუალებას, არ მოხდეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ერთპიროვნული მიღება. პრეზიდენტის მიერ ამგვარი „შებოქვა“ გამოწვეულია სახელმწიფოში ჩამოყალიბებული საპარლამენტო მოწყობითაც, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებას მნიშვნელოვნად ზღუდავს. მექანიზმის არარსებობა პოლიტიკურ-სამართლებრივ სპექტრს დააყენებდა არაერთი პრობლემის წინაშე, რომელთა მოგვარებაც ეფექტურად და სწრაფად ვერ მოხერხდებოდა. კონტრასიგნაცია გამოსატულია სახელმწიფოში ხელისუფლების ძალთა გადანაწილების მიზნით.

მოცემული ინსტიტუტი ქართულ საკანონმდებლო სივრცეში ერთგვარი ნოვაციაა, რამეთუ იგი მხოლოდ 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად იქნა დამატებული. კონტრასიგნაციის მექანიზმის კონსტიტუციის ნაწილად ცნობამდე, ჯერ კიდევ წლებით ადრე არსებობდა ქართულ სამართლებრივ სივრცეში აზრთა სხვადასხვაობა ინსტიტუტის მიღება-არმიღებასთან დაკავშირებით.

1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას მიმდინარეობდა მსჯელობა ეროვნულ დემოკრატთა მიერ, რომლებიც მხარს უჭერდნენ როგორც პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებას, ასევე მინისტრთა კაბინეტის არსებობასა და შესაბამისი დარგის მინისტრის მხრიდან პრეზიდენტის აქტებზე ხელმოწერას, რათა არ მომხდარიყო პრეზიდენტის მიერ ძალაუფლების უზურპირება და დაცული ყოფილიყო სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი უსაფრთხოება. არც 1995 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ გაითვალისწინა მექანიზმის ამოქმედება, რამეთუ სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებდა მმართველობის საპრეზიდენტო მოდელს, ე. წ. ამერიკულ მოდელს, რომელშიც კონტრასიგნაციის მექანიზმი არ არსებობს.

გამომდინარე აქედან, თანახელმოწერის მექანიზმი გვაძლევს ფართო თვალსაწიერს იმ მხრივ, რომ მიმოვიხილოთ მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია და განვიხილოთ, თუ რა პრობლემებს აწყდება ყოველდღიური საკანონმდებლო სივრცე თანახელმოწერის ინსტიტუტის გამოყენებისას. რა შემთხვევებშია იგი გათვალისწინებული და რა პროცედურებს გადის შესაბამისი სამართლებრივი აქტი, სანამ იგი ოფიციალურად გამოიცემა.

კონფერენციაში მიმოხილული იქნება ასევე შედარებით-სამართლებრივი ასპექტები კონტრასიგნაციისა, კერძოდ, როგორ წესრიგდება თანახელმოწერის ინსტიტუტი სხვა სახელმწიფოებში, რა პრობლემებს აწყდებიან და რა გზებს მიმართავენ მათ მოსაგვარებლად. თანახელმოწერის ინსტიტუტი, როგორც უკვე ვახსენეთ, ამოსავალი წერტილია დემოკრატიული ხელისუფლების დაყოფის პრინციპისა, თუმცა მოცემული არ უნდა გავიგოთ ისე, რომ პრეზიდენტს საერთოდ წაერთვას ერთპიროვნული უფლებამოსილებები და გახდეს ერთგვარი უფუნქციო სახელისუფლებო სუბიექტი. შესაბამისად, ამ მხრივაც საჭიროა თანაზომიერების დადგენა და ბალანსის პოვნა.

## ხატია ტაბატაძე მარიამ დელიბაშვილი

### ხარი ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში

ხარის კულტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის ცნობიერებაში და არ შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიით. იგი წარმოადგენს ფოლკლორული და ლიტერატურული ტრადიციების ერთ-ერთ ძირითად სიმბოლოს, რომელიც გამოხატავს როგორც სოციალურ, ისე საკრალურ მნიშვნელობას. ხარი ხშირად განიხილებოდა არა მხოლოდ როგორც ცხოველი, არამედ როგორც სიმბოლო, რომელიც მოიცავს ძლიერებას, შრომის კეთილსინდისიერებას და სოფლის მოსახლეობის ყოფიერების განუყრელ ნაწილს.

ყველა კულტის უკან დგას ისტორია და სოციალურ-კულტურული ფენომენი, რომელიც აყალიბებს მის მნიშვნელობას და გადასცემს მას თაობიდან თაობას. ხარის კულტიც ამ მხრივ გამონაკლისი არ არის: იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ნაყოფიერების, სიმდიდრის და ოჯახური კეთილდღეობის სიმბოლოდ ითვლებოდა, რაც მის საკრალურ მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებდა. ფოლკლორულ ტექსტებში ხარის სიმბოლიკა გამოხატავდა ადამიანის და ბუნების ურთიერთკავშირს, მუშაობის ტრადიციებსა და ცხოვრების რიტმებს. ქართულ ლიტერატურაში ხარი ხშირად ცოცხლდება როგორც პერსონაჟი, რომელიც ასახავს ინდივიდუალურ თვისებებს, მაგრამ ასევე გამოხატავს ზოგად არქეტიპებსა და ტრადიციებს.

ლიტერატურულ კრიტიკას აინტერესებს, თუ როგორ განსხვავდება მისი გამოხატულება სხვადასხვა ტექსტში, როგორ ფორმირდება ხარის სიმბოლო კულტურული კონტექსტის მიხედვით და როგორ შენარჩუნდა მისი მნიშვნელობა თაობიდან თაობაში. ამ მოხსენების მიზანია, უფრო დაწვრილებით შევისწავლოთ ხარის სიმბოლოს ადგილი ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში. კვლევა გვაჩვენებს, როგორ მოხდა ხარის კულტის ფორმირება და მისი რეპრეზენტაცია ქართულ მწერლობაში.

## თათული სოფრომაცე

### ბეითალმანი ქონების მოწესრიგების ისტორია ქართულ სამართალში

საკონფერენციო ნაშრომი ეძღვნება ქართულ სამართალში უმკვიდრო, ე. წ. „ბეითალმანი“ ქონების სამართლებრივი რეგულირების ისტორიულ-შედარებით ანალიზს. აღნიშნულის მიზანია, დაგვანახოს, რომ სახელმწიფოსთვის მემკვიდრის გარეშე დარჩენილი ქონების გადაცემა არ წარმოადგენს მხოლოდ თანამედროვე სამართლის მონაპოვარს, არამედ იგი ღრმად არის ფესვგადგმული და ჯერ კიდევ ძველ ქართულ სამართლებრივ წყაროებში ვაწყდებით.

ნაშრომი მაქსიმალურად ორიენტირებული იქნება ისტორიულ ანალიზზე; განხილული იქნება ფეოდალური ხანის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, როგორებიცაა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“ და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ასევე სხვა ისტორიული სამართლის კრებულები, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ბეითალმანი ქონება კანონმდებლის ყურადღების მიღმა არასდროს რჩებოდა და ყოველთვის განხილვის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ტერმინი „ბეითალმანი“, რომელიც არაბული „ბა-ით ალ-მალიდან“ მომდინარეობს და ხაზინას ნიშნავს, ხოლო მისი შინაარსი – ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასვლა მემკვიდრის არარსებობისას – აქტიურად გამოიყენებოდა ქართულ სინამდვილეში. ეს მიუთითებს მახლობელი აღმოსავლეთის სამართლებრივი კულტურის გავლენაზე, რაც შემდგომ ქართულ სამართალში აისახა.

ვახტანგ VI-ის კრებულში შემავალი „სომხური სამართალი“ და „ბერძნული სამართალი“ კიდევ უფრო აფართოებს ამ ხედვას, რადგან მათში დეტალურადაა განერილი მემკვიდრეთა რიგითობა და ხაზინის როლი მემკვიდრეობის პროცესში. ძველ ქართულ სამართალში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც „უმკვიდრო“ და ე. წ. „ოხერი“ ქონების საბოლოო მესაკუთრედ მეფე (სახელმწიფო), ეკლესია ან შესაბამისი ფეოდალი გვევლინებოდა.

უმკვიდრო ქონების სამეფო (სახელმწიფო) საკუთრებად გამოცხადება ემსახურებოდა ცენტრალური ხელისუფლების ეკონომიკურ გაძლიერებას და მინის ფონდის კონტროლს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ფაქტს, რომ ისტორიულად ბეითალმანი ქონება ხშირად ხდებოდა დავის საგანი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. აღნიშნული განსაკუთრებით კარგად ჩანს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში“, ეპისკოპოსის ბეითალმან ქონებასთან დაკავშირებით, რაც დეტალურად იქნება განხილული ნაშრომში. ამავდროულად, შევიმეცნებთ, თუ როგორ მოხდა ამ ინსტიტუტის ტრანსფორმაცია რელიგიურ-ფეოდალური მოდელიდან წმინდა სამართლებრივ მოდელამდე.

დასკვნით ნაწილში გავლებული იქნება პარალელი ისტორიულ წყაროებსა და საქართველოს მოქმედ სამოქალაქო კოდექსს შორის. რეალურად, თანამედროვე რეგულაცია, რომელიც უმკვიდრო ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემას ითვალისწინებს, იმეორებს „ბეითალმანის“ ისტორიულ ლოგიკას, თუმცა შეცვლილი სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის პირობებში. თუ ისტორიულად ეს ფეოდალური იერარქიის განმტკიცებას ემსახურებოდა, დღეს იგი საჯარო ინტერესების დაცვისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის ინსტრუმენტია. ამრიგად, ბეითალმანი ქონების ინსტიტუტი წარმოადგენს ქართული სამართლის უწყვეტობის ნათელ მაგალითს.

## **ნანა ბოგველი ნინო დეკანოსიძე**

### **„მთავარი“ და მისი ისტორიული კონტექსტი: ძალაუფლების პოლიტიკა და რეალიზმი**

ნიკოლო მაკიაველი XVI საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწეა, რომელსაც ეკუთვნის არაერთი თხზულება, მათ შორის: „ფლორენციის ისტორია“ (Storie Fiorentine) და „საუბრები ტიტუს ლივიუსის პირველ დეკადაზე“ (Discorsi sopra la prima Deca di Tito Livio). ერთ-ერთი ყველაზე ღირებული თხზულება, რომელშიც მაკიაველიმ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები, ძალაუფლების აღებისა და შენარჩუნების ხერხები აღწერა, არის „მთავარი“ (1513). მაკიაველმა წიგნი მიუძღვნა მთავარს, ანუ მმართველს, და ისტორიული დეტერმინიზმის გზით განამტკიცა თითოეული მოსაზრება ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებაზე.

მაკიაველის წიგნი აბსოლუტურად პრაქტიკულია და სულაც არ არის იდეალისტური. იდეალურ სამყაროში „საუკეთესო“ მთავრობის

არსებობის განხილვის გარეშე, „მთავარი“ თავისთავად მიიჩნევს ავტორიტარული მმართველის არსებობას და ცდილობს, წარმოიდგინოს, თუ როგორ შეიძლება ასეთმა მმართველმა მიაღწიოს წარმატებას. მაკიაველი ლორენცო მედიჩის სთავაზობს სახელმძღვანელოს, რომელიც ზუსტად ეხება იმდროინდელ ფლორენციის მდგომარეობას. როგორც ჩანს, ის გულწრფელად არის დაინტერესებული თავისი პოლიტიკური გამოცდილებით, ასევე ისტორიისა და ფილოსოფიის ფართო ცოდნის გამოყენებით, რათა ლორენცოს დახმარებოდა. თუმცა, ცხადია, წიგნიდან გარკვეულ პირად სარგებელსაც ელოდა: მაკიაველი აშკარად იმედოვნებდა, რომ ლორენცოსთვის „მთავარი“ იმდენად სასარგებლო იქნებოდა, რომ მის ავტორს დაუყოვნებლივ ფლორენციაში დააბრუნებდა, სადაც მას კვლავ შეეძლო პოლიტიკური მრჩეველი გამხდარიყო. მისმა გეგმამ არ გაამართლა.

ამ პერიოდში იტალია ქალაქ-სახელმწიფოების ერთობლიობას წარმოადგენდა, მათი მმართველები კი ერთმანეთზე ძალაუფლების მოპოვებას ცდილობდნენ. შიდა ინტრიგების გარდა, იტალია გარე მტრისთვისაც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა. სწორედ ამ რეალობაში მაკიაველი ქმნის თეორიას, რომელიც პოლიტიკას ათავისუფლებს არაპოლიტიკური ღირებულებებისგან – მორალის, რელიგიისა და ტრადიციისგან. სახელმწიფო ინტერესები მისთვის ყველაფერზე მაღლა დგას. მთავარი უნდა იყოს პრაგმატული, უნდა იცოდეს, როდის გამოიყენოს კანონი და როდის – ძალა, როდის – შიში და როდის – სიყვარული. მაკიაველი გამოყოფს სახელმწიფოს ორ ტიპს – რესპუბლიკასა და სამთავროს, ხაზს უსვამს კარგად განვრთნილი ლაშქრისა და ომის გადამწყვეტ მნიშვნელობას და აფასებს სამხედრო საქმეს როგორც პოლიტიკის მთავარ იარაღს.

მაკიაველის რეალიზმი დღესაც უაღრესად აქტუალურია: თანამედროვე გეოპოლიტიკური კრიზისები, მუდმივი დაპირისპირებები და ისეთი პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენება, როგორიც ომია, ამყარებს მაკიაველის ჯერ კიდევ მაშინდელ თეორიას პოლიტიკაზე. „მთავარი“ რჩება სახელმძღვანელოდ არა მხოლოდ ისტორიკოსებისთვის, არამედ პოლიტიკოსების, დიპლომატებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ანალიტიკოსებისთვის, რომლებიც ეძებენ რეალური ძალაუფლების ლოგიკას იდეალიზმის ნაცვლად. მაკიაველის მიერ პრაგმატიზმისა და სეკულარიზმის დამკვიდრებამ შექმნა თეორიული საფუძველი იმისათვის, რომ სახელმწიფოს რეალური საყრდენი უკვე რელიგია და ეთნოსი კი არ არის, არამედ მოქალაქეთა პოლიტიკური ინტერესების გაერთიანებაა.

## ქეთევან მაჭარაშვილი მარიამ ლოლაძე

### სიმართლის კონცეპტი ბერნარდო აჩაგას შემოქმედების მაგალითზე

ბასკი მწერალი, ხოსება ირასუ გერმენდია, ცნობილია ბერნარდო აჩაგას ფსევდონიმით. იგი დაიბადა 1951 წლის 27 ივლისს ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ქალაქ ასტეასუში. აჩაგა თანამედროვე ბასკური ლიტერატურის გამორჩეული წარმომადგენელია. წიგნების გამოქვეყნება დაიწყო მაშინ, როდესაც ბასკური ლიტერატურა დამოუკიდებელ სოციალურ ინსტიტუტად იქცა, კერძოდ, 1970-იან წლებში. ამ დროიდან მოყოლებული, ის იქცა ბასკური კულტურის გამავრცელებლად. მის შემოქმედებაში შესამჩნევია ავტორისეული ავანგარდისტული და ექსპერიმენტული ხასიათი. მისი ნაშრომები ნათარგმნია 34 ენაზე.

ბერნარდო აჩაგას შემოქმედებას თან სდევს ბასკური ზეპირსიტყვიერების, ლეგენდებითა და თქმულებებით შთაგონების ტენდენცია. ხალხური წარმოდგენების რეპრეზენტაცია შეიმჩნევა აჩაგას რომანშიც – „ძმის წიგნი“. ჩვენ მიერ განსახილველი ფრაგმენტის მთავარი გმირის ცხოვრების მეგზური მარტოსულობისგან გამონვეული სასონარკვეთილებაა. ტერეზა არა თუ საზოგადოებისგან, არამედ საკუთარი ოჯახის წევრებისგანაც ვერ გრძნობდა სითბოს, სიყვარულსა და სიახლოვეს. მისი დღიურის ყოველი თავი მოგვითხრობს ტკივილზე, ერთფეროვნებაზე, მარტოსულობასა და უიმედობაზე. ტექსტში ხაზგასმულია იტალიელი ქალბატონის სიტყვები – "Poverina mia", რომელიც ჩვენი გმირისთვის იქცა ცხოვრებისეულ სადარდელოდ. ეს ფრაზა ჭრიჭინასავით არ აძლევდა მოსვენების საშუალებას და გამუდმებით ყურში ჩაესმოდა. მას ხელი აქვს ჩაქნეული საკუთარ ცხოვრებაზე. იგი ფიქრობს, რომ თავისი სიკოჭლის გამო არავინ შეიყვარებს. თუმცა მის ცხოვრებაში ჩნდება ანდრე, რომლის ყურადღებასაც სწორედ ტერეზას სიკოჭლე იქცევს.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იქნება, თუ როგორ არის გამოხატული ბასკურ ფოლკლორთან კავშირი და რა სახე-სიმბოლოებით არის გადმოცემული მარტოსულობის განცდა აღნიშნულ ფრაგმენტში.

## ლიზი მექვაბიძე ელენე მეტრეველი

### ჰუარი ბუმედიენი: რესურსების კონტროლი და მესამე სამყაროს პოლიტიკური ძალა

ჰუარი ბუმედიენის მმართველობა პოსტ-კოლონიური სახელმწიფოებრიობის განვითარების იმ რადიკალურ მოდელს წარმოადგენს, სადაც ეკონომიკური სუვერენიტეტი საერთაშორისო სისტემაში პოლიტიკური სუბიექტურობის მოპოვების მთავარ წინაპირობად იქცა. ბუმედიენმა ბუნებრივი რესურსები, კერძოდ, ნავთობი და გაზი, გარდაქმნა დიპლომატიურ ინსტრუმენტად, რომელმაც საფუძველი შეურყია ნეოკოლონიურ წესრიგს. 1971 წლის ენერგოსექტორის ნაციონალიზაცია არ ყოფილა მხოლოდ შიდაეკონომიკური აქტი, ეს იყო გეოპოლიტიკური მანიფესტი, რომელმაც ალჟირს „მესამე სამყაროს“ ინტელექტუალური და პოლიტიკური ავანგარდის სტატუსი შესძინა.

ბუმედიენის სტრატეგია ეყრდნობოდა პრინციპს, რომ განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკური წონა პირდაპირპროპორციული იყო მათ უნარზე, თავად განეკარგათ საკუთარი წიაღისეული. მისი ლიდერობით ალჟირი იქცა მიუმხრობლობის მოძრაობის (NAM) მნიშვნელოვან ძალად, რაც კულმინაციას აღწევდა 1974 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. სწორედ ბუმედიენი იდგა „ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის“ (NIEO) კონცეფციის სათავეებთან, სადაც მოითხოვდა გლობალური ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთობების ფუნდამენტურ გადახედვასა და რესურსების სამართლიან გადანაწილებას.

ამავდროულად, ბუმედიენის მემკვიდრეობა წინააღმდეგობრივია. საერთაშორისო არენაზე მოპოვებული ავტორიტეტისა და ეკონომიკური ემანსიპაციის პარალელურად, მისი შიდა პოლიტიკა ხასიათდებოდა მკაცრი ავტორიტარიზმითა და ცენტრალიზებული ბიუროკრატიით, რამაც შეაფერხა დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება. მიუხედავად ამისა, ბუმედიენისეული „რესურსების ნაციონალიზაცია“ რჩება ენერგოდიპლომატიის უმნიშვნელოვანეს პრეცედენტად, რომელმაც სამუდამოდ შეცვალა განვითარებადი ქვეყნების როლი გლობალურ პოლიტიკაში და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ბრძოლას ეკონომიკური თვითმყოფადობისთვის.

ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს ჰუარი ბუმედიენის პოლიტიკა რესურსების კონტროლის კუთხით და მისი გავლენა მესამე სამყაროს ქვეყნების საერთაშორისო პოზიციაზე.

ნაშრომის ამოცანებია: ბუმედიენის ეკონომიკური პოლიტიკის შეფასება, ენერგორესურსების ნაციონალიზაციის მნიშვნელობის განხილვა და მისი საგარეო პოლიტიკის როლის ანალიზი მესამე სამყაროს გაძლიერებაში.

## **რავი გობეჯიშვილი დემეტრე ტეტელაშვილი**

### **ქართული ონომასტიკის კულტურულ-ისტორიული ასპექტები აკადემიკოს შოთა ძიძიგურის ნაშრომების მიხედვით**

შოთა ძიძიგურის მეცნიერული მემკვიდრეობა ქართულ ენათმეცნიერებაში წარმოადგენდა არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ ღრმად ჰუმანურ და კულტურულ მოვლენას. აკადემიკოსი შოთა ძიძიგური გვარსახელთა კვლევას განიხილავდა როგორც „ერის ცოცხალ მათიანეს“ – ენობრივ დოკუმენტს, რომელიც ინახავს ჩვეულებრივი ადამიანების ყოველდღიურობას, სოციალურ იერარქიას, მიგრაციულ ბიოგრაფიებსა და კულტურულ მეხსიერებას. მისთვის გვარი არ იყო უბრალო სახელი, არამედ ცოცხალი გენეტიკური კოდი, რომელიც ათასწლეულების ისტორიას აერთიანებს.

კვლევის მიზანია, გააანალიზოს შოთა ძიძიგურის ონომასტიკური ხედვა და აჩვენოს, თუ როგორ გარდაქმნა მან გვარსახელთა გამოძიება ისტორიულ-კულტურულ კვლევად, რომელიც საშუალებას იძლევა, გავიგოთ ქართული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, მიგრაციული პროცესები და იდენტობის ფორმირება.

საკვლევი კითხვებია:

1. როგორ აიხსნება პროფესიულ გვარებში (მაგ., მჭედლიშვილი, მეღვინეთუხუცესი) ფეოდალური საქართველოს სოციალური იერარქია და რა ისტორია იმალება ამ „სოციალურ დნმ-ში“?

2. როგორ გვიჩვენებს ტოპონიმიური და ეტიმოლოგიური გვარები (მაგ., გურიელი, მგელაძე, იმერლიშვილი) მიგრაციულ პროცესებსა

და გეოგრაფიულ მეხსიერებას და რა კულტურული მნიშვნელობა აქვს ამ „GPS-ს“ წარსულიდან?

3. რატომ არის შოთა ძიძიგურის მიდგომა დღესაც აქტუალური იდენტობის გადარჩენისა და კულტურული უწყვეტობის კონტექსტში?

მეთოდოლოგია ეფუძნება თვისებრივ კვლევას და მოიცავს პირველადი წყაროების – შოთა ძიძიგურის ძირითადი ნაშრომების („სიტყვის ცხოვრება“, „ქართული გვარსახელები“ და სხვა...) – კონტენტ-ანალიზს. ეს მიდგომა იძლევა საშუალებას, გვარი განიხილოს არა როგორც მშრალი ლინგვისტიკური ფენომენი, არამედ როგორც ჰუმანური და სოციალურ-ანთროპოლოგიური დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს ენას, ისტორიასა და ადამიანურ გამოცდილებას.

კვლევა აჩვენებს, თუ როგორ იქცა შოთა ძიძიგურის ხედვით გვარი ერის ცოცხალ მატთანად, რომელიც ინახავს წინაპრების ხელობას, მიგრაციას, შიშებსა და იმედებს. ამით იგი ხდება არა მხოლოდ ისტორიული წყარო, არამედ თანამედროვე ადამიანისთვის იდენტობის, კულტურული ფესვებისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების მნიშვნელოვანი საფუძველი.

## **ანა-მარია ჩუბინაშვილი ნინი ნაჭყებია**

### **ციფრული რესურსების ეფექტურობა და ხელმისაწვდომობის გამონვევები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში**

დღევანდელობაში საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაცია წარმოუდგენელია ციფრული რესურსების ინტეგრაციის გარეშე. ამ ნაშრომის მიზანია საქართველოში არსებული ციფრული პლატფორმების (მაგ., EL.GE, „სწავლა თამაშით“, CK-12 Georgia) ანალიზი საერთაშორისო ჩარჩო-კონცეფციების ქრილში. ნაშრომში განხილულია სამი ძირითადი ასპექტი: პედაგოგიური კომპეტენცია, რესურსების დიზაინი და მისი ხელმისაწვდომობა.

საყურადღებოა, რომ TPACK (ტექნოლოგიური, პედაგოგიური და შინაარსობრივი ცოდნა) მოდელის მიხედვით, ტექნოლოგიური რე-

სურსის არსებობა არ განაპირობებს სწავლის ხარისხს, არამედ აუცილებელია პედაგოგის უნარი, სინთეზირდეს სწავლის კონკრეტულ მეთოდთან. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი რესურსების შესაბამისობაა შემეცნების ფსიქოლოგიასთან. რიჩარდ მაიერის მულტიმედიაური სწავლების კოგნიტური თეორიის (2024) მიხედვით, ეფექტურია ისეთი რესურსები (მაგ., „ინტერაქტიული ანბანი“), რომლებიც მოსწავლის მეხსიერებას არ გადატვირთავს და პროცესში გამოყენებულია ვიზუალური და ვერბალური არხები.

კვლევები ადასტურებს, რომ მსგავს პრინციპზე აგებული თამაშებით სწავლება (Heng & Said, 2020) ზრდის მოტივაციასა და პრობლემის გადაჭრის უნარებს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში მათემატიკისა და ლიტერატურის სწავლებისას. ჩვენს ნაშრომში შემდეგი ნაწილი ეთმობა „ციფრული ნაპრაღის“ პრობლემას. ჩვენი დაკვირვებით, რეგიონებში ეს პრობლემა არა მხოლოდ ინტერნეტს, არამედ გამართული კომპიუტერების არარსებობას უკავშირდება.

საქართველოში არსებული მრავალფეროვანი რესურსების (მაგ., Reading.ge, Microsoft Teams) მიუხედავად, გამოწვევად რჩება მათი ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა. კოულმენის (2021) ლიტერატურული მიმოხილვის თანახმად, პრობლემა ვლინდება სამ დონეზე. ესენია: მოწყობილობებზე ფიზიკური ხელმისაწვდომობა, ციფრული უნარების არქონა და სოციალურ-ეკონომიკური ბარიერები. განსაკუთრებით საყურადღებოა ეთნიკური უმცირესობების სექტორი, სადაც ენობრივი ბარიერი დამატებით გამოწვევას წარმოადგენს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგანმანათლებლო სისტემაში ციფრული ტრანსფორმაცია დამოკიდებულია მრავალ საკითხზე. წინსვლისთვის აუცილებელია „ციფრული ნაპრაღის“ აღმოფხვრა და ენობრივი ბარიერის დაძლევა. საბოლოოდ, ტექნოლოგიური ინტეგრაცია ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მეთოდოლოგიურად გამართული და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

## გვანცა შერმაზანაშვილი

### ჯონ სტაინბეკის „ტორტილა ფლეთი“ – ქართული თარგმანის ლინგვისტურ-სტილისტური თავისებურებანი

ჯონ სტაინბეკი ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად მიიჩნევა, რომლის შემოქმედება გამოირჩევა სოციალური რეალიზმით, ადამიანური დრამის, სილარიბისა და მარგინალიზებული ჯგუფების ცხოვრების ღრმა და ემპათიური ასახვით. მისი რომანი „Tortilla Flat“ („ტორტილა ფლეთი“) სტაინბეკის ადრეული პერიოდის ნაწარმოებია, რომელიც სტილისტურად განსხვავდება მისი უფრო მძიმე სოციალური რომანებისგან და გამოირჩევა იუმორით, ირონიითა და ზღაპრულ-ლეგენდური თხრობის მანერით.

ნაშრომის მიზანია ჯონ სტაინბეკის „ტორტილა ფლეთის“ ქართული თარგმანის ლინგვისტურ-სტილისტიკური ანალიზი ორიგინალ ტექსტთან მიმართებით. კვლევა ფოკუსირდება კოლოკვიალური მეტყველების, კულტურული რეალიების, იუმორისა და მთხრობელის ნარატიული ტონის გადმოცემის თავისებურებებზე; ასევე განხილული იქნება ტექსტის მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ თარგმანობრივ სტრატეგიებს, რომელთა მეშვეობითაც მთარგმნელი ცდილობს, შეინარჩუნოს ორიგინალის სტილისტური ეფექტი ქართულ სამკითხველო სივრცეში.

ჯ. სტაინბეკის რომანი პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1935 წელს გამოიცა და ქართულად 1960-იან წლებში ითარგმნა; ერთ-ერთი თანამედროვე გამოცემა „არტანუჯს“ ეკუთვნის – ვახტანგ ჭელიძის თარგმანი ქართველ მკითხველს 2015 წელს წარედგინა. ტექსტში საყურადღებოა პერსონაჟთა ენობრივი პორტრეტი და ის ეროვნული კოლორიტი, რომელიც ნაწარმოებში ერთგვარ ფორმისა და შინაარსის სინთეზს გვთავაზობს.

თარგმნა ყოველთვის ორიგინალის ასლის გადმოღებას არ გულისხმობს; ეს არის კომპლექსური პროცესი, სადაც შესაძლოა ორი ან რამდენიმე კულტურა დაუკავშირდეს. ასეთ დროს აუცილებელია, გათვალისწინებული იქნეს მთარგმნელის მიზანი – ორიენტაციას გააკეთებს თავად წყაროზე თუ იმ სამიზნე აუდიტორიაზე, ვისთვისაც თარგმანს ქმნის, რადგან კალკირება ყოველთვის არ ამართლებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ენები სხვადასხვა ენათა ჯგუფს ეკუთვნის; ამიტომაც ხშირად საჭიროა მცირედი ცვლილებები.

რომანში მოქმედება კალიფორნიაში, მონტერეის მახლობლად, ხდება; მთავარ პერსონაჟებად მექსიკელ-ამერიკელი მეგობრები – ე. ნ. პაისანოები (Paisanos) და მათი თავგადასავლები გვევლინება. ცენტრალურ ფიგურას დენი წარმოადგენს – ახალგაზრდა, მექსიკური წარმოშობის ამერიკელი, რომელიც მოულოდნელად მემკვიდრეობით იღებს ორ სახლს, რომლის გარშემოც იკრიბებიან ის ადამიანები, რომელთაც მეგობრობის, ერთგულებისა და თავისუფლების საკუთარი კოდი გააჩნიათ.

რომანში ვერ შევხვდებით სიუჟეტურ ინტრიგას; აქ მნიშვნელოვანია პერსონაჟთა ფსიქოლოგია და ის ატმოსფერო, რომელსაც ჟ. სტაინბეკი გვთავაზობს. მისი ენა მარტივია, მაგრამ მეტაფორული, დიალოგები კი – ცოცხალი და ბუნებრივი; მისი არა მორალური, არამედ ჰუმანისტური ხედვა კი საინტერესო ტანდემს გვთავაზობს.

## ნანიკო ტორონჯაძე

### ანტონიო მაჩადოს ლექსის “La plaza tiene una torre” („მოედანზე ციხე-კოშკი“) დავით წერედიანისა და ვასილ გულეურის ქართული თარგმანების შედარებითი ანალიზი

ანტონიო მაჩადოზე ასე საუბრობენ: „არასდროს უძებნია სახელი და დიდება. მეოცნებე, ფილოსოფოსი, განდეგილი, მარტოობასთან შეხმატკბილებული, სიტყვაძუნნი, დაღუპული სიყვარულის მომღერალი“. ეს იმ სიტყვების ნაწილია, რომლითაც პოეტს ახასიათებდნენ. ის, გარდა პოეტობისა, გახლდათ ესპანელი დრამატურგი, ესენისტი და მოაზროვნე. ანტონიო მაჩადოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფრანგ სიმბოლისტებსა და მოდერნისტებთან, ამიტომ ეს გავლენა ჩანს მის პოეზიაშიც.

მაჩადოს ეკუთვნის უამრავი კრებული, მათ შორის „მარტოობა“, „ხუან დე მაირენა“, „ომი“, „ახალი სიმღერები“, რომლებიც თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. აღსანიშნავია, რომ მისი ენა და პოეტიკა სიღრმითა და სიმარტივით გამოირჩევა: არის ლაკონური, თუმცა ზუსტი; ლექსებს კი თან სდევს დროის განცდა, ბუნებასთან კავშირი და ზომიერი სიმბოლიზმი.

მისი ერთ-ერთი ლექსი „La plaza tiene una torre“ („მოედანზე ციხე-კოშკი“) არის ცნობილი კრებულის „მარტოობა, გაღვრიები და სხვა ლექსები“ ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ნიმუში. ეს ლექსი ზუსტად ასახავს ესპანური მოდერნიზმის დამახასიათებელ ნიუანსებს – კავშირს დროსა და მეხსიერებას შორის. მთავარი მოტივია დროის სიმბოლურობა, უბრალო სივრცის აღწერა, სიმშვიდე, რომელიც შინაგან სევდას, მელანქოლიასა და ნოსტალგიას მალავს და ასე ერთვის თითქმის საბავშვო რიტმს.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსი არ არის დიდი ზომის, მასში აღწერილია მარტივი სურათი: ქალაქის მოედანი, აივანი, კოშკი, მოგონებები ბავშვობაზე. მაჩადო მას ღრმა ქრილში ათავსებს, რითიც მნიშვნელოვანი ხდება ფრაზების განსხვავებულად აღქმისა და სწორად დაჭერის უნარი.

როგორც ვიცით, ლექსების სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელების მთავარი იარაღია თარგმნა, რომელიც კულტურათშორის საქმიანობას ეწევა და ცალკე ხელოვნებაა. თარგმანების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის მეთოდი; თუმცა, როდესაც ლექსს ვთარგმნით, ყურადღება ექცევა გადმოტანის ფორმებსაც. ცხადია, შინაარსი არ უნდა იყოს განსხვავებული, თუმცა განწყობა და რიტმი უნდა შენარჩუნდეს.

ლექსი „მოედანზე ციხე-კოშკი“ ქართველთათვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ მოღვაწეს – დავით წერედიანს – შესანიშნავად აქვს ნათარგმნი, თუმცა ასევე შესანიშნავად თარგმნა ვასილ გულეურმაც – საბავშვო მწერალმა. ნაშრომის მიზანია ამ ორი ქართული თარგმანის შედარებითი ანალიზი – ორიგინალის გათვალისწინებით. ვინაიდან მაჩადო იყენებს უბრალო ლექსიკას, რაც მის პოეზიას გულწრფელს ხდის და არ ეძებს რთულ მეტაფორებს, საინტერესოა, რა ფორმა აირჩიეს მთარგმნელებმა, როგორ შეინარჩუნეს ორიგინალის განწყობა, როგორ შეცვალეს სიტყვების მნიშვნელობა ჟღერადობისთვის, რა არის განსხვავებული და რა არის საერთო, და რომელია ორიგინალთან მეტად ახლოს მდგომი.



